ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №8166901

ნომერი: AR11169411

თარიღი : 12.11.2026

გაცემის თარიღი : 19.11.2026

გაცნობის თარიღი : 19.11.2026

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, რაჟდენ არსენიძის ქუჩა, N 1;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დემეტრე გაბათაშვილი პ/ნ 01027078752
- თბილისი დიდი ლილო

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 12 ნოემბრის №AR11169411 განცხადებით მომართა დემეტრე გაბათაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 24 იანვრის №6854768 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 24 იანვრის №6854768 ბრძანებით №01.17.08.069.025 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა სასტუმროს კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2024 წლის 24 იანვრის № 6854768 ბრძანებით შეთანხმებულ -2,80 ნიშნულის სართულის გეგმის ჩანაცვლებას. კერძოდ, განმცხადებელი განმარტავს, რომ აღნიშნულ გეგმაზე მდებარე დამხმარე ფართობიდან ცალკე ფართობად იქნას გამოყოფილი წყლის ავზის ფართი.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ შეთანხმებულ - 2.8 ნიშნულის სართულის გეგმაზე წყლის ავზი გეგმარებითად ცალკე არ არის გამოყოფილი (არ აქვს კედლები და შესასვლელი), ასევე წყლის ავზი წარმოადგენს შენობა-ნაგებობის დამხმარე ფართს, აღნიშნულის გათვალისწინებით, წყლის ავზის ცალკე ფართობად გამოყოფა არ წარმოადგენს ტექნიკურ ხარვეზს და შესაბამისად წინამდებარე ნომენკლატურის „ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში“ ფარგლებში ვერ განხორციელდება და საჭიროებს სამშენებლო დოკუმენტაციის ცვლილებას (კორექტირებას).
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, არ არსებობს სამსახურის 2024 წლის 24 იანვრის №6854768 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების სამართლებრივი საფუძველი, სამსახური მოკლებულია მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.